LTD EXIMGROUP

29.11.2018წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ ჩვენ მოგმართეთ თხოვნით გადავადებულიყო საჯარო განხილვა თერჯოლის რაიონის სოფელ კვახჭირში (ს/კ 33.01.36.468) მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, რომელზეც დაგეგმილი გვაქვს სილიკომანგანუმის ქარხნის მშენებლობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის მიერ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული მიწის ნაკვეთის, აწარმოე საქართველოს პროგრამით ჩვენს სახელზე პირდაპირი წესით გადმოცემასთან დაკავშირებით . (ბრძანების ასლი თან ერთვის)

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, კანონმდებლობით დადგენილი წესით უახლოეს მომავალში.ჩანიშნოთ საჯარო განხილვა.

პატივისცემით

შპს ,,ექსიმგრუპი

დირექტორი

გია კლიმაშვილი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 15288
29. 11. 2018
1/3
02

LTD EXIMGROUP
id code: 405239674

საქართველო, თბილისი, 0179, ყიფშიძის 20ა, ოფისი 11, e-mail: ltdeximgroup@mail.ru, tel.: +995 599 55 00 66

საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2256 2018 წლის 26 ნოემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ექსიმგრუპისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტისა და „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ კვახჭირში მდებარე 33000.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №33.01.36.468) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს შპს „ექსიმგრუპს“ (ს/კ: 405239674).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა ამ განკარგულების გამოცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე შავი ლითონის მწარმოებელი საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყება ამ განკარგულების გამოცემიდან არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, 924 000 (ცხრაას ოცდაოთხი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

გ.ა) ინვესტიციის არანაკლებ 25%-ისა – ამ განკარგულების გამოცემიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

გ.ბ) ინვესტიციის დარჩენილი ნაწილი – ამ განკარგულების გამოცემიდან მეორე წლის განმავლობაში;

დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წარმოების დაწყებიდან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში წარმოების პროფილის შენარჩუნება და ამ განკარგულების გამოცემამდე შეთავაზებული პროდუქციის წლიური მოცულობის (შავი ლითონი არანაკლებ 8000 (რვა ათასი) ტონისა) წარმოების უზრუნველყოფა შემდეგი პირობებით:

დ.ა) წარმოების დაწყებიდან პირველი წლის განმავლობაში – წარმოების შეთავაზებული წლიური მოცულობის არანაკლებ 25%-ის წარმოება;

დ.ბ) წარმოების დაწყებიდან მეორე წლის განმავლობაში – წარმოების შეთავაზებული წლიური მოცულობის 50%-ის წარმოება.

3. შპს „ექსიმგრუპის“ მიერ წარდგენილი, განსახორციელებელი ინვესტიციის 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებასა და ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულებას (მათ შორის, ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა

პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**